№ 118
კვირა, 3 ივნისი, 1901 წ.

1877—1901

ᲘᲕᲔᲠᲘᲘ

№ 118
კვირა, 3 ივნისი, 1901 წ.
რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲔᲓᲘᲢᲝᲠᲘ № 741.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ: Тифлисъ „Фармацевтика“.

ᲐᲛ ᲜᲝᲛᲔᲠᲗᲐᲜ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗ ᲓᲝᲠᲝᲣᲜᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐᲗ.

საეთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

ᲓᲔᲞᲝ

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აცხადებს, რომ „საზოგადოების“ წევრთა საგანგებო კრება, მოწოდებული პირველ ივნისისათვის, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ხელმეორე კრება დაინიშნა 8 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თეატრის შენობაშივე. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა მეესწროს.

(2—უ. —1)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

ბ. ს. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ჟ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲝᲑᲘᲗ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ს. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ს. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არგანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ს. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ს. მ. შატილოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ს. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

ვ. დ. მარკევიჩი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ს. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ:

ბ. ბ. მადალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** დღეს, 3 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექნება იმ განსაკუთრებულს კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზედ ხალხის თავგასართობთა მოსაწყობად პროგრამმა შეიმუშაოს.

*** ამ დღეებში ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ ქალაქის გამგეობას მოხსენება წარუდგინა იმის შესახებ, რომ თუ ვინიცობაა სათანადო მთავრობა არ შეიწყნარებს ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილებას ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ, რომლის შესანახადაც ქალაქის სამმართველოს განზრახვა აქვს ყოველ წლობით 10,000 მან. შემწეობა აძლიოს, მაშინ შუამდგომლობა იქნეს აღძრული, რომ ნება დაერთოს ქალაქს ავლაბარში საშუალო ტიპის სამრეწველო სასწავლებელი გახსნას.

*** ქალაქის გამგეობის სადგომში პარასკევს, 1 ივნისს, საღამოზედ ქალაქის გამგეობას სხდომა ჰქონდა, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე ქალაქის ინჟინერი, ქალაქისა და ავჭალის წყლის მილების გამგენი და სხვანი. ქალაქის გამგეობას განსახილველად წარედგინა მოხსენება ტეხნიკოსის ბ-ნის ლისიცევისა იმის შესახებ, რომ ავჭალიდგან ქალაქში მეორე წყლის მილი იქმნეს გამოყვანილი, რომ ამითი ქალაქში ხშირი წყლის ნაკლებულობა შევსებულ იქმნეს. ბ-ნის ლისიცევის მოხსენებით, ეს წყლის მილი სიგრძით 2 ვერსი იქნება და დაჯდება სულ 39 ათას მანეთამდე; ამასთანავე აცხადებს იგი, რომ, თუ ქალაქმა ეს განზრახვა განახორციელა, წყლის მხრით ქალაქი უზრუნველი იქნება, რადგანაც ქალაქს ამ მილით ყოველ დღე-ღამეში 900,000 ვედრა წყალი მიემატებაო და სხვანი. მიიღო რა ქალაქის გამგეობამ მხედველობაში ამ საკითხის შესახებ გამოთქმული სხვა-და-სხვა მოსაზრებანი, დაადგინა: რადგანაც საკითხის გამოსარკვევად ქალაქის სამმართველოში საკმაო მასალებია შეკრებილი, დაეკისროს ქალაქის ინჟენერს ბ-ნ ეფენჯიანცს ეს საგანი შეიმუშავოს და ამ თვის 5 რიცხვამდე დაწვრილებითი დასაბუთებული მოხსენება წარუდგინოს გამგეობას. რადგანაც ეს საყურადღებო საქმე ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, გამგეობამ ამ საქმის გამოსარკვევად მეორე კრება 7 ივნისისათვის დანიშნა, როდესაც აგრეთვე მოწვეულნი იქნებიან ქალაქის ინჟინერი ბ-ნი ეფენჯიანცი, ტეხნიკოსები ქურდიანი, ლისიცევი და სხვანი.

*** ქალაქის გამგეობის უკანასკნელს სხდომაზედ ქალაქის გამგეობამ, სხვათა შორის, განიხილა ის საკითხი, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატაში ქალაქის მოურავისა, გამგეობის წევრის ხოსროევისა და ყოფილ წევრთა ბ-ნი ვერმიშევისა, ივანენკოსი და თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის საქმის გარჩევის დროს პროცესის სრულად ჩასაწერად სტენოგრაფი იქმნეს მიწვეული, რისთვისაც საჭირო თანხა უნდა იქმნეს გადადებული. გამგეობამ გარდასწყვიტა ეს საკითხი საბჭოს წარუდგინოს განსახილველად.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გადაუწყვეტია მოახდინოს ტფილისში 10 სექტემბრიდგან 20 ოქტომბრამდე მიწადმომქმედთა, მევენახე-მელვინეთა, შინა-მრეწველთა, საქონლის მომშენებელთა და მრეწველთა კრება. დებულება და პროგრამა კრებისა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გაეგზავნა დასამტკიცებლად.

*** 4 ივნისის მორიგ სხდომაზედ ქალაქის საბჭომ უნდა განიხილოს, სხვათა შორის, ტფილისში ხორცის დუქნების დაარსების საქმე. ამავე სხდომაზედ უნდა აარჩიონ ქალაქის მოურავის მოადგილე.

*** 1 ივნისს ქალაქის გამგეობას სხდომა ჰქონდა ავლაბარში საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. გამგეობა დაეთანხმა სასწავლებელთა კომისიას, რომლის აზრით ავლაბარში უმჯობესია პროგიმნაზიის დაარსება და არა სამრეწველო სასწავლებლისა. გამგეობამ შესაძლოდ დაინახა ამ სასწავლებლის შესანახად გადასდოს წელიწადში 10,000 მან.

*** გუშინ, 2 ივნისს, რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

*** სასწავლებელთა კომისიის თავმჯდომარეს ლაპარაკი აღუძრავს ქალაქის სასწავლებელთათვის საკუთარის შენობების აგების შესახებ. კომისიის აზრით, საჭიროა შესდგეს განსაკუთრებული ფონდი სასწავლებელთა შენობების ასაგებად. ქალაქის გამგეობას დაუდგენია საუნივერსიტეტო თანხიდგან 45,000 მან. ისესხოს 3 შენობის ასაგებად.

*** დღეს ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში აქტი იქმნება გამართული.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეუმუშავებია პროგრამა საქონლის მომშენებელთა და მომავალ სამეურნეო მერძევეთა კრებისა, რომელიც გამოფენის დროს მოხდება.

*** ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს უკანონოდ უცვნია და არ დაუმტკიცებია ქალაქის საბჭოს დადგენილება ტფილისში ნაგვის საზიდ ურმების შესახებ.

*** როგორც „კავკ.“-ს ზაქათალიდგან სწერენ, 12 აპრილს ზაქათალის იოლქის სხვა-და-სხვა ადგილას საშინელი სეტყვა მოსულა და ვენახები, ხეხილები, თუთის ხეები და სხვა მცენარეები გაუფუჭებია. ზარალი 85,000 მანეთამდეა.

*** ქალაქის სასწავლებლების გამგეთა კრებას გადაუწყვეტია, სხვათა შორის, ისარგებლოს ბ-ნ ლისიციანის მიერ შედგენილ პროექტით საპედაგოგო მუზეუმის დაარსების შესახებ. მუზეუმის გამგეობა ჩაებარება ათი კაცისაგან შემდგარ საბჭოს. მუზეუმთან გაიმართება წიგნთ-საცავი მასწავლებელთათვის, კრებები, რეფერატების კითხვა და სხვა. კრებას დაუდგენია აგრეთვე სთხოვოს საბჭოს, რომ ქალაქის მიერ სკოლებში აქტების გასამართად გადადებული ფული 1500 მან. მიეცეს მუზეუმს.

*** ორშაბათს, 4 ივნისს, ქალაქის საბჭოს განსახილველად დანიშნული აქვს შემდეგი საქმეები: ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევანი; მოხსენება საქართველოს რუსეთთან შეერთების სახსოვრად განზრახულ დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ; დადგენილებანი ქალაქის გამგეობისა ქალაქში ხორცის სავაჭრო დუქნების გამართვისა და საზოგადოდ ვაჭრობის დროს ხორცის ხარისხებათ დაყოფის შესახებ და სხვანი. საბჭოს სულ განსახილველად 12 საქმე აქვს. სხდომა საღამოს 8 საათზედ დაიწყება. ამ სეზონში საბჭოს უკანასკნელი სხდომა 11 ივნისს მოხდება.

*** როდესაც აქამდე ამიერ-კავკასიის რკინის გზა მეისრეთ რაიმე შემთხვევისა გამო დროებით სამსახურიდგან ანთავისუფლებდა, ამათ მაგიერად გზის მუშებს ან ყარაულებს აყენებდა. ეხლა კი რკინის გზის სამართველოს ბრძანება გამოუცია, რომ ამ აზრით ცალკე რაზმი შესდგეს სათადარიგო მეისრეთა, რომელნიც რკინის გზის სადგურების განკარგულებაში უნდა იყვნენ და საჭიროების დროს მეისრეთა ადგილი დაიჭირონ ხოლმე. სათადარიგო მეისრეთ უფასოდ საცხოვრე-

ბელი ადგილი მიეცემათ ან სადგურზედვე, ანდა მის მახლობლადა და ყოველივე მათი თხოვნა განხილულ-დაკმაყოფილებული იქმნება სადგურის უფროსებისაგან.

** დღეს, საღამოს 6 საათზედ, ჟურნალ „Кавк. Вѣст.“-ის რედაქციაში კრება მოხდება ტფილისში განზრახულ „ბეჭდვითი საქმის კავკასიელ მოღვაწეთა დამხმარებელ კასის“ წესდების უკვე შემუშავებულ პროექტის განსახილველად.

** 31 მაისს ტფილისის ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდა. როგორც საზოგადოების ანგარიშიდგანა სჩანს, ამ წლის 30 მაისისათვის კასაში ყოფილა სულ 3,205 მან. 37 კაპ., რომელთაგან 1900 წლის ძირითად და სათადარიგო თანხისათვის გადადებული იქმნება 1,172 მან. 26 კაპ., კასაში დარჩება სულ 2,028 მან. 11 კაპ., ხოლო საზოგედოებას სჭირია დასახარჯად ნოემბრამდის სულ 3,628 მან.

** ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოებას 1000 მან. შემწეობა აღმოეჩინოს მოხუცებულ და დაუძლურებულ მასწავლებელ ქალთათვის თავშესაფარის ასაშენებლად.

** კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტს გადაუწყვეტია შუამდგომლობა აღძრას შუშისა და ნუხის მაზრებში ხალიჩების საქსოვ სკოლების დაარსების შესახებ.

** რედაქციამ მიიღო შე-V ნომერი საუმაწვილო ჟურნალ „ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ“. შინაარსი ამ ნომრისა: 1) ბერჯი—მოთხრობა რეზიკოსი; 2) მეგობარი ძალი კახ-იმერლისა; 3) ფუტკარი, ლექსი დ. თომაშვილისა; 4) მეფის ასულის საჩუქარი, რუსულიდგან, ბავშვების-მეგობრისა; 5) ლედი ჯენ, თარგმანი ე. წერეთლისა; 6) დაგიწყებული დედოფალა, რუსულიდგან ბეს. ვაშაძისა; 7) ვნახოთ ის, რას მეტყვის. დათ. ფალავასი; 8) დედა ფუტკრის ნაამბობი, ალ. წულაძისა; 9) ქვის საუკუნის ბავშვები, ეკ. მესხისა; 10) ძალი და ლომი, ტარასი; 11) ქარი და მზე, კატო მიქელაძისა; 12) ორფეი და ევრიდიკე (ივიდიუსისა), ა. უუმისთაველისა; 13) გასართობი; 14) წვრილმანი.

** რედაქციამ მიიღო აგრეთვე „Кавк. Вѣстникъ“-ის მე-6 ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია, სხვათა შორის: „სტუდენტები“, ლ. ეიფეანისა; „მამიდა ასმათი“, გ. წერეთლისა (გაგრძელება), „სასოფლო მეურნეს ქუთ. გუბერ“. ომ—სა და სხვ.

** ამ დღეებში მოხდა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხეთა შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრთა საზოგადო კრება. როგორც კასის ანგარიშიდგან სჩანს, 1900 წლის 1 იანვრისთვის კასაში ყოფილა სულ 31,123 მან. 22 კაპ. სანგარიშო წელს შემოსულა 7482 მ. 62 კ. დახარჯულა — 4,033 მან. 2 კაპ. დივიდენდად გადაუდგიათ 688 მან. და სხვ.

** წლეულს ტფილისის სამხედრო-სამეურნეო სასწავლებელში სწავლა დაუმთავრებია სულ 37 კაცს.

** ქალაქის სასწავლებელთა კომისიაში დაბარაკი აღუძრავთ ქალაქის სასწავლებლებში ახლად შემოსულ უმაწვილთა მიღების საქმის მოწესრიგების შესახებ. კომისიას განუხილავს ამ საქმის გამო ბ-ნ ფირუმოვისა და ლისიციანის მიერ წარდგენილი პროექტები, მაგრამ ჯერ არა გადაუწყვეტია-რა.

** როგორც „მშაკს“ ნახიჩევანიდგან სწერენ, ამ წლის 22 აგვისტოს ქეგლს აუგებენ თურმე იქ სომეხთა მწერალს გამარ-ქათიბას (რაფიელ პატკანიანს). ქეგლის ასაგებად შეუგროვებიათ 5000 მან.

** როგორც „ახ. მიმ.“-ს განჯის მაზრის ანნენფელდის ახალშენიდგან სწერენ, 29 მაისს ვიდაც ბოროტ-განმზრახველთ მოუკლავთ თავისასვე ბინაში ქრისტიანე დიტრიხი და მისი ცოლი მარიამი და რამდენიმე ნივთი წაუღიათ.

** როგორც ხაშურიდგან გვატყობინებენ, 24 მაისს, მე-187 ვერსზედ, მატარებლიდგან გადმოვარდნილა ჯარის-კაცი პეტრე გუზიევი. მატარებელი შეუჩერებიათ. გუზიევი არ დაშავებულა.

** 1 ივნისს მიმავალ მატარებელზედ, განჯის მახლობლად, მესამე კლასის მგზავრების ჰაჯი-აბდულ-ოღლისა და ლეპლედი-ჰასან-ოღლისათვის ძილის დროს ქურდებს ამოუცლიათ პირველისათვის—500 მანეთი, ხოლო მეორისათვის 3 მანეთი. ქურდები, სამი სომეხი, საქონლის მატარებელზედ დაიჭირეს და 180 მანეთი უპოვნეს. ერთი მათგანი გამოტყდა.

** როგორც საბუნჩიდგან გვატყობინებენ, 1 ივნისს დილის 3 საათზედ, საბუნჩის შტოს მე-12 ვერსზედ უნახავთ მოკლულის კაცის გვამი. გამოძიება სწარმოებს.

წერილი ცხინვალიდგან

დ. ცხინვალი, 24 მაისი. წლის დამამშვენებელი მაისი, როდესაც სულიერი თუ უსულო უნებლიედ იღვიძესს ხოლმე და ბუნება თავისს ძალთა-ძალას იჩენს და სამოთხის მგზავსადა ჰყვავის, მთელს ცხინვალისა და თითქმის მთელის ქართლი'თვის რაღაც არა ჩვეულებრივი რამ იყო; სიამოვნების მაგივრად ბევრი უსიამოვნობა გვაგრძნობინა და ჭინჭყლიანად გაიარა: სიცივე, მუდმივი წვიმები, ამ ბოლოს დროს მშრალი, მოსავლისათვის დიდად მავნებელი ქვენა ქარი და ტალახი არ მოგვკლებია. რაც შეეხება ქურდობასა, ადამიანების ჩეხვასა, ავადმყოფობას ხალხისასა თუ პირუტყვებისას და სხ. ამათ ხომ, რაც გვაკლდა, ყველა დაგვითავეს. ამას დაუმატეთ ახლა გაუგებარი საქციელი სკოლის გაძარცვისა, ზოგიერთა სოფელში რაღაც ახალის ჭირის „ჰოტენტოტურ ბაღლინჯოების“ გაჩენა (თითქოს ჩვენ-კი ცოტა გვყვანდეს!), რომელიც მოსავალს მუსრს ავლებს, და ჩვენი ღვარძლიანი და ბურბუშელა ქალების ენის ქავილი და უთავბოლო მითქმა-მოთქმა და დარწმუნდებით, ბ-ნებო, რომ ჩვენ, ცხინვალელებს, მართლა ხეირი არ გვაყრია და ცუდი-კი მრავლად მოგვეძებნება, თუ რომ ქვეყანას ხილულათ შეჰხედავს მსურველი და განგებ თვალებს არ აიხვევს. და აი, მეც მსურს ამ ხილულ'ს ქვეყანას თვალ-ახელილმა შევხედო და ცხინვალელების ავი და კარგი სხვებსაც ვამცნო, რომ გასაფრთხილებელში იფრთხილონ და წასაბაძში მოგვბაძონ (მაგრამ, ვეპვობ, გვქონდეს რამე ასეთი?).

ამას წინად ერთმა ს. ამბრეთელმა (მთაშია) ოსმა არაყი ჩამოიტანა აქ ჩუმად გასასყიდად. ადგილობრივმა აქციზის მოხელემ მაშინვე ამ ადგილს მიაშურა, მაგრამ ოსმა დაინახა თუ არა მოხელე, მიანება თავი არაყსაცა და ცხენსაც და შიშისაგან საღლაც მიიმალა. მოხელემ არაყს თავისი დანიშნულება მისცა, ცხენი-კი ადგილობრივს მამასახლისს გადასცა შესანახად. მაგრამ დახეთ სასწაულს! ცხენი იმავე ღამეს დაიკარგა... თქმა არ უნდა, ცხენი პატრონმა წაიყვანა ქურდულად. და აკი ასედაც აღმოჩნდა: ორის დღის შემდეგ სამივე ადგილობრივი აქციზის მოხელე სოფ. ამბრეთში მივიდნენ და სწორედ იმავე ოსს მიადგნენ კარებზედ, რომელსაც ცხინვალში არაყი წაართვეს. ოსს ამ დროს არყის ქვაბი ცეცხლზედ თურმე ედგა. დაინახეს თუ არა მისული მოხელენი, მაშინვე სახლის კარები ჩაკეტეს და არ უშვებდნენ. ამ ჩოჩქოლში ხალხი მოგროვილა, შექნილა ყაყანი, აურ-ზაური და სახლიდგან ცულებითა და კეტებით გამოსულან მოხელეთა საწინააღმდეგოდ. მოხელეებს რომ უნახავთ, არც კარებს გვიღებენ და ასე მტრულადაც გვეგებებიანო, უფიქრიათ, აქ უხიფათოდ საქმე არ გათავდებაო და უფროს მოხელეს ბ-ნს ეგოროვს უბრძანებია უმცროს მოხელის ფ—სათვის, ეხლავე გასწი და ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს აცნობე, რომელიც იქვე ერთის ვერსისა თუ ვერს-ნახევრის მანძილზედ ყოფილა სამსახურისა გამო. მოხელე მისულა და უცნობებია, მაგრამ ბოქაულის თანაშემწე საქმის გამო ვერ გაჰყოლია. აქციზის მოხელე მაშინვე ცხინვალში ჩამოიჭრა ბოქაულთან, რომელსაც აცნობა მოხელეთა განსაცდელი. მაგრამ ბოქაულიც ვერ წავიდოდა, რადგანაც მკლავი ჰქონდა დაშავებული. ამიტომ უბრძანებია დარაჯისათვის, რომ მოხელეს გაჰყოლოდა და ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლისათვის ეცნობებინა, რომ მოხელეთათვის დროზედ მიეხედნა.

ამბრეთში-კი მოხელენი უცდიან თავიანთს ამხანაგს, აი ახლა გაჩნდება, აი ახლაო, მაგრამ არსად არავინა სჩანს. ამასობაში შეუმჩნევიათ, რომ სახლის ერთს მხარეზედ რაღაც რახი-რუხია. მისულა ბ-ნი ეგოროვი და უნახავს, რომ ოსებს კედელი გაუნგრევიათ და არაყს ტიკით აპარებენ. არაყი წაურთმევიათ, მაგრამ ხალხი და სახლის პატრონი უარესად გაგულისებულან და შეუტევიათ მოხელეთათვის და, ვინ იცის რითი გათავდებოდა ეს საქმე, რომ ამ დროს ერთი დარბაისელი მოხუცი ოსი არ გასჩენოდათ, რომელსაც მეზობელი ოსები შეუყენებია და აუხსნია მათთვის, თუ რა მძიმე სასჯელიც მოელოდათ მოხელეთა წინააღმდეგობისათვის; დაუმშვიდებია ხალხი, გაუღებინებია კარები, შესულან მოხელენი, უნახავთ გამართული არყის ქვაბი ზარფუშით, შეუდგენიათ ოქმი, ქვაბი და ზარფუში დაუბეჭდიათ, არაყი იქვე ადგილობრივ გაუყიდნიათ და საღამოს ათ საათზედ დაბრუნებულან მშიერ-მწყურვალნი. გზაში, ესე ცხრა საათზედ-ღა შეხვედრიათ მათ ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი, დარაჯებით მიმავალი.

ჩვენის თვალით ვნახეთ ამას წინად ცხინვალის ავადმყოფთა თავშესაფარში ორი ოსი, რომელთაგანაც ერთს, ოც-და ერთის წლის ბიჭს, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მთლად მოჭრილი ჰქონდა წალდითა და დაჭრილი იყო აგრეთვე რამდენსამე ადგილას თავსა და ბეჭებში. მეორეს მარჯვენა ხელის გული ძვლებიანად მიჩეხილი ჰქონდა, რომლის მორჩენაც საეჭვოა. აქვე მოიყვანეს ერთი ძალზედ მოხუცი, ესე, თითქმის სამოც და ხუთის თუ ათის წლის ქართველი გლეხკაცი თავპირ დამშხვრეული. ვნახეთ აგრეთვე ათი-თორმეტის წლის ბიჭი, ძალზედ ნაცემი სახრით, ისე რომ საბრალოს მთელი ტანი დაღუდუდებულ-დასისხლიანებული და დალურჯებული ჰქონდა. ეს სულ ავ-კაცობის ნაყოფი იყო.

რაიცა შეეხება სკოლის გაძარცვა-გადაწვას, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ეს მომხდარა სამაჩაბლო მთაში, სოფ. ედისაში. რა აზრით და რას ერჩოდნენ, ან რა უნდა წაეღოთ ბოროტ-განმზრახველთ ცარიელი სკოლიდგან, ეშმაკმა იცის იმათი თავი. ერთი სიტყვით, ეს ნაქები მაისი წელს რაღაც ცალ ფეხზედ დადგა და ყოველგვარმა საზიზღრობამ, და ბოროტებამ თავი ერთად მოიყარა, რომელთა აღნუსხვაც ძალიან შორს წაგვიყვანს.

ერთად-ერთი სანუგეშო ცხინვალში ის არის მხოლოდ, რომ ბოქაულმა ცხინვალს უხეირო და ვიწრო, ბინძურს ქუჩებს ყურადღება მიაქცია და უკვე აკირწყვლინებს. მაგრამ როდის რა ეღირსება და ეშველება სოფ. ზემო-ნიქოზისაკენ მიმავალს გზას, ეს კი არავინ იცის. ვიტყვით მხოლოდ, რომ იქ გამვლელი ცხენი, ეტლი, თუ ურემი ყველა შესაბრალისნი არიან.

რადგანაც ნიქოზი ვახსენეთ, ურიგო არ იქნება ამასთან ერთი ფრიად სასიამოვნო მოვლენაც არ აღვნუსხოთ, რომელიც ჩვენს გლეხ-კაცობაში ასრე იშვიათია. ამ რამდენისამე ხნის წინად გზად მიმავლობის დროს შემთხვევა მომეცა ზემო-ნიქოზის სამრევლო სკოლა დამეთვალიერებინა, რომელიც დიდი ხანი არ არის ერთის მადლიანი კაცის წყალობით დაარსოა აქა. ამ სკოლისათვის აღგილობრივს უსწავლელს გლეხს ალექსი ლომსაძეს ექვსის წლით უფასოდ დაუთმია ერთი კარგი მოზრდილი ქვითკირის ოთახი, უყიდნია რამდენიმე მშვენიერი პარტა და სხვა მრავალი საჭირო ნივთები, ამასთან მთელი ზამთარი აძლევდა თურმე შეშას ოთახის გასათბობად და სხვა მრავალ დახმარებას უჩენდა. ერთი სიტყვით, ზემო-ნიქოზის სკოლა დღეს ლომსაძის წყალობით არსებობს და მისითვე უდგია სული. გარდა ამისა, სკოლაში ასწავლის უსასყიდლოდ ამავე ლომსაძის შვილი, რომელსაც გორში აქვს სწავლა მიღებული. სწორედ სიამოვნებითა და სიხარულით მევსება გული, რომ ამისთანა იშვიათსა, მაგრამ საუგეშო მოვლენასა ჰხედავ უსწავლელის გლეხისაგან.

უსახური

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. კარდენახი. 26 მაისს მოხდა ეგზამენი სოფლის საქალაქო სამრევლო სკოლაში. ორი წელიწადია რაც ეს სკოლა არსებობს, მაგრამ ამ შედარებითს ხანდაზმულ მცხოვრებთა დიდი ყურადღება დაიმსახურა. დღეს იგი ერთადერთ ნუგეშად ითვლება სოფლის ბავშვების სწავლა-აღზრდაში და ჯერჯერობით იმედსაც გვიქადის, თუ მისი აწინდელი ეფოფის პირობები შეიცვლება ისე, როგორადაც განსაზღვრულია. თუმცა ერთ მეოთხედ საუკუნეზედ მეტია, რაც აქ სამინისტრო სკოლა არსებობს, მისთვის საკუთარი შენობაცა გაკეთებული, მაგრამ მან ვერ მიიპყრო მცხოვრებთა ყურადღება, როგორათაც ეს საჭიროა, ვერ დაარწმუნა გლეხი სწავლა-განათლების კეთილ ნაყოფიერებასა და აუცილებელ მის საჭიროებაში. თუმცა აქ ზოგიერთი კურს-დამთავრებულთ ედირსა სხვაგან გადასვლა სწავლის განსაგრძობად, ზოგიერთმა თვალსაჩინოდ ჭქმნა იქ მიღებული სწავლა, მაგრამ ეგენი ეს მოხდა უფრო წინად, ვიდრე უგანსაზღვნელ დროში. არც ერთი გლეხი უარს არ იტყვის ეხლა, გარდა ორისა, მოხუც კაცისა, რომელთაც ბარისა და ნიჩბის გარდა არა უნახავთ-რა, არ იტყვის უარს, რომ მისი შვილი სკოლაში სწავლობდეს, რომ სწავლა აუცილებელ ცხოვრების იარაღად ხდება, მაგრამ ამასთანავე არა გაბედვით, დაუდევნელად ეჭიდება იგი ამ საქმეს და გადაჭრით ვერ უთქვამს ვერც ჭო და ვერც არა. სწორედ ამ დროს, როდესაც ასეთ მდგომარეობაშია ჩვენი გლეხი, უნდა მას წინამძღვრობა, დარიგება, ცოცხალი მაგალითი. ჩვენდა სანუგეშოდ, თანდათან უჩნდება სოფელს თითო-ორიოდ ისეთი კაცი, რომელნიც ამ საქმისათვის ბევრს მეცადინეობენ და ზრუნავენ.

ჩვენის აზრით, ეხლა ორ-კლასიან სკოლასაც ჭსაჭიროებს ჩვენი სოფელი. სოფელი გაუძღვებოდა იმასაც, თუ თავდობაც რამე მონაწილეობას მიიღებდა, მაგრამ ჯერ ამ ფიქრს თავი უნდა დავანებოთ და რაც გასაკეთებელია, ის გავაკეთოთ. სამრევლო სკოლა დღეიმდე შვილია აქ არსებულ სამკითხველო-წიგნთ-საცავისა. იმის დაარსებისათანავე დაბარაკი ადიძრა საქალაქო სკოლის დაარსების შესახებაც. ვის მეცადინეობითა და თავ-გაწმოდებით სტოცხლობს წიგნთ-საცავ-სამკითხველო, იმისავე მეოხებით სულდგმულობს ჯერეთ ნორჩი, ნაადგ გაუმაგრებელი სამრევლო სკოლა. საქმე იმათისა და აგრეთვე სხვათა მეცადინეობით კარგად მიდის, მაგრამ... მაგრა ესაა, რომ ეხლა დიდი დახმარება ეჭირვება ამ სკოლას, რადგანაც საკუთარი შენობა არა აქვს. ამის გამო მეტად შეწუხებულია მისი მზრუნველი. ორი წელიწადია სკოლა ქირით სხვის სახლშია მოთავსებული. სახლი ორ-სართულიანია, ძირს პატრონი სცხოვრობს, ზემო სართულის ორი ოთახი სკოლას აქვს დაჭერილი: ერთში მასწავლებელი-ქალი ცხოვრობს, მეორეში სასწავლო კლასის ოთახია მოთავსებული. სამოცამდე მოსწავლე ქალია ამ სკოლაში. ეხლა პატრონს ესაჭიროება თავისი სახლი და ადარ უთმობს სკოლას. ამისათვის ახალი შენობის გაკეთება შემდეგ წლისთვის აუცილებლად საჭირო ხდება. შეეშვ შეუდგნენ ამ საქმის აღსრულებას, მაგრამ თუ სხვებმაც სოფელში დახმარება აღმოუჩინეს ამ საქმეს, ერთი და ორი ადამიანი ვერას გააწყობს. სკოლის შენობის ასაშენებლად სამინისტრო სკოლის მახლობლად ადგილს უთმობს ერთი ჩვენი მემამულეთაგანი. მხოლოდ ასაშენებელი მასალაა საჭირო, დაწყება და გაკეთება. ორმოც-და-ათ თუმნისა

ირის ფული ხელის-მოწერით შეკრებილი, მაგრამ რიგიანის შენობის ასაგებად ეს ფული საკმარ არაა. აზრადა აქვთ სამ-ოთახიანი შენობა აშენონ. თუ შეძლებენ ნებას არ მოგვცემს, ორი ოთახი მაინც უნდა გავაკეთოთ. ოც-და-ხუთი თუმანი გრაფინია შერემეტევისამ შესწირა; დანარჩენი ადგილობრივ კლუბებსა და თავადებს შორის იქმნა ხელმოწერით შეკრებილი.

სამრევლო სკოლა, როგორც ზევითა ვსთქვეთ, ადგილობრივ საზოგადოების უურადღებას იქცევს, რადგანაც ამ სკოლაში პირველ დაწყებითი სწავლის გარდა ხელსაქმესაც ასწავლიან. ქსოვას, ჭრა-კერვას, ქარგვას, ხურჯინებისა და თარდაგების ქსოვას. მასწავლებელ ქალს ხელ-საქმის სწავლაში უსასყიდლოდ ეხმარება ორი თავისი და. თუ რა კაკეთეს მოსწავლე ქალებმა ამ წლის განმავლობაში, მშობლებმა თავისს თვალით ნახეს გამოტდის დღეს. ზოგიერთი ნივთი კაეიდა და ზოგიც კადადებულია მომავალ კვეკსიის სამეურნო გამოფენაზედ გასაგზავნად. გამოტდაზედ დასწრნენ მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალეურე, მდ. იაშვილი, ორი სხვა მდვდელი, რამდენიმე მასწავლებელი, მამასახლისი და მშობლები მოსწავლე ქალებისა.

დ. ბ.

რუსეთი

—

რკინის გზებზედ, როგორც ვუწეთ, არა ერთი და ორი უბედურება ხდება. თუმცა ხშირად ამ უბედურებათა მიზეზი თვით მგზავრთა კუუფრთხილებლობაა, მაგრამ, გამოკვლევამ აღმოაჩინა, დანაშაული ხშირად რკინის გზებსაც მიუძღვით ამის გამო მთავრობამ დაავალა რკინის გზის გამგეობებს: 1, გამართონ ვაგონებში უკეთესი მოაჯირები, ვიდრე ეხლაა; 2, გაუმჯობესონ სადგურის ბაქანებზედ განათების საქმე; 3, გამართონ ხიდები ლიანდაგებზედ იქ, სადაც ხალხს გადასვლა გადმოსვლა სჭირდებათ და 4, დღევანდელთან შედარებით მეტი თვალ-ყური ადევნონ ლიანდაგის შეკეთების დროს მუშობას, რომ უბედურება არა მოხდეს-რა.

— როგორც მკითხველებმა უკვე უწეთან, მოსკოვის საშედაგოგო საზოგადოებამ საჭიროდა სცნო რუსულ ან-ბანიდგან ზოგიერთის ასოების გამოკლება და ამ რიგად ორთოგრაფიის გაადვილება. აზრადა აქვთ შემდეგი ასოები გამოაკლონ: ѵ, ѳ, і, ѣ, ъ (ეს უკანასკნელი ასო სიტყვის ბოლოში) და ამას გარდა სხვა ცვლილებაც მოახდინონ ან-ბანში.

— ქალაქ ოსტროგში ამას წინად ადგილობრივი მდვდელი მამა ანეპოდისტე ოლიფეროვიჩი დუელში გაუწვევია მოქალაქეს, შტატ-გარეშე მეოთეს შტაბს-კაპიტანს მ. ფ. მიროსლავიჩს. მიროსლავიჩი და ოლიფეროვიჩი მეზობლები ეოფილან თურმე, ხშირად უკმაოფილება მოსდიოდათ, რომლის დროსაც მდვდელი უკადრისის სიტყვებით ელაპარაკებოდა კაპიტანს. ამ უკანასკნელს ბოლოს გელარ მოუთმენია, კაცი გაუგზავნია და დუელში გაუწვევია მდვდელი. მდვდელს, რასაკვირველია, მაშინვე უფლერი პოლიციისათვის უცნობებია. სასამართლოს, რომელსაც ეს საქმე უკვე განუხილავს, დამნაშავედ უცვნია შტაბს-კაპიტანი და წერილის გადმცემი და გადაუწყვეტია მათთვის ხუთის დღით საპყრობილეში დაპატიმრება.

უცხოეთი

საფრანგეთი. როგორც პარიზიდგან იუწყებიან, დეპუტატთა პალატის საბიუჯეტო კომისიისა გარდაუწყვეტია შემოსავლის დაკვალად გაწერილი გარდასახადი ამ მომავალის 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანონ. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა მინისტრმა კომისიას დიდი წინააღმდეგობა განუცხადა ამისა გამო, კომისია მაინც თავისს გარდაწყვეტილებაზედ უარს არ ამბობს. დეპუტატთა პალატის უკიდურესს დასებს შემოსავლის დაკვალად გაწერილი გარდასახადი თავისს ბრაგრამაში აქვთ შეტანილი და გარდაწყვეტილი აქვთ უთუოდ გაიყვანონ იგი, თუმცა სათვრანგეთის ბურჟუაზიას ეს არა-თრად ეპატიჟვება და არა ჭსურს, საფინანსო აღმინისტრაციის აგენტების თავისი ნამდვილი შემოსავლის დავთრები აქექინოს. რადგანაც საბიუჯეტო კომისიის წევრთა შორის უმეტესობას უკიდურეს დასთა წარმომადგენელნი შეადგენენ, ამისათვის დროს არა ჭკარგენ და ბრაგრამის ერთს უმთავრესს მუხლს ახლავე უვლას ცნობენ. მაგრამ ბევრს ასე ჭგონია, რომ ეს მხოლოდ რადიკალების საარჩევნო ქამანდებია და ახლავე დარწმუნებულნი არიან, რომ მათს გარდაწყვეტილებას პალატა არ მიიღებს. ოფველს შემთხვევაში, შემოსავლზედ გაწერილი ხარჯი მაინც ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეაქვთ და გულს იმშვიდებენ იმითი, რომ, თუ პალატა მათს გარდაწყვეტილებას არ შეიწყნარებს, მაშინ ამომრჩევლების წინაშე მაინც თავს იმართლებენ, რომ თავისი დანაპირები შესრულეს და მომავალ საზოგადო არჩევნებისათვის საქმეს გაიკეთებენ. შემოსავლზედ გასაწერ გარდასახადის შესახებ საბიუჯეტო კომისიას განსახილველად ორი ბროექტი წარუდგინეს; ერთი წარადგინა თვით გარდასახადის მომხსენებელმა მერლიმ, ხოდო მეორე—დეპუტატმა კლოტმა. კომისიამ კლოტის ბროექტი მიიწონა, რომელიც სამაგიეროდ ოთხს სხვა გარდასახადს აუქმებს. „Journ. des Dèbats“ ამის გამო შეჭნიშნავს, რომ საბიუჯეტო კომისიამ პირველად კლოტის წინადადება სრულიად გამორიცხა საფულმწიფო ხარჯთ-აღრიცხვიდგანა და შემდეგ ამ საგნის შესახებ აზრის გამოთქმა მცირე კომისიას მიანდო. მცირე კომისიამ ამ საგნის შესახებ თავისი მოხსენება კომისიას წარუდგინა. კომისიამ მოისმინა მოხსენება მცირე კომისიისა და, რადგანაც შემოსავლის დაკვალად გაწერილი გარდასახადი ოთხს სხვა ბირდაბირს გარდასახადს აუქმებდა, გარდასწყვიტა იგი მომავალის 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეეტანა. ფინანსთა მინისტრმა წინააღმდეგობა განაცხადა—შემოსავლის დაკვალად გაწერილს გარდასახადს ამ წლის საფულმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში ნუ შეიტანთო, მაგრამ კომისიამ იგი არ შეიწყნარა და ერთის ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა გარდასახადი მაინც შეეტანა. შეიძლება თვითონ კომისიამვე სთქვას უარი ასეთს თავისს გარდაწყვეტილებაზედ, მაგრამ რაც შეეხება პალატას, მისი-კი არავინ-რა იცის—კომისიის დადგენილებას როგორ მოეპერობა. საქმის ამნაირი მდგომარეობის შესახებ „Journ. de St-Pètersbourg“ შეჭნიშნავს: მემარჯვენენი და ზომიერნი შუაგულიდგან ზომიერ რესპუბლიკელებთან ერთად, რომელნიც სამინისტროს მომხრე უმეტესობას ეკუთვნიან, შემოსავლისა დაკვალად გაწერილს გარდასახადს უარ-ჰყოფენ და ამ რიგად სამინისტროს კრიზისიც ადარ მოხდება, რადგანაც იგი ამ გარდასახადის 1902 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანის წინააღმდეგი იყო და მეორეც, უკიდურესნი დასნიც გულმოგებულნი დარჩებიან, რადგანაც ამომრჩევლების ბრაგრამას არ უდალატეს და მათის სურვილისა თანახმად გარდასახადის პალატაში შესაწყნარებლად ყოველივე დინისძიება იხმარესო.

—

იაპონია. ვიკონტ კატსურას მეთაურობით იაპონიაში ახალი კაბინეთი შესდგა. გაზ. „Berlin. Tageblatt“ შეჭნიშნავს ამის გამო, რომ იაპონიის ახალი მინისტრ-პეზიდენტი ბერლინის სადიპლომატო წრეებში, განსაკუთრებითაი სამხედროთა შორის, საკმაოდ ცნობილია, რადგანაც ბერლინში მოოფს იაპონიის საელჩოში იგი დიდხანს სამხედრო აგენტად იყო და ჩინეთ-იაპონიის ომის დროს კიდევ მანჯურიაში ჭსარდლობდა მთელს დივიზიასა. ერთ ხანად კატსურა სამსახურიდგან გადადგა, მაგრამ მალე ისევე დაუბრუნდა მხედრობას და იმპერატორმა იაპონიის ჯარების ფელდმარშლობა უბოძა. ვიკონტ კატსურამ ერთის დიდის გაჭირვების დროს იკისრა მინისტრ-პრეზიდენტობა. ჩინეთის სამხედრო საზღაურიდგან იაპონიას მხოლოდ-და მოგონებანი შერჩა. ჩინელების ფულით იაპონიამ, მართალია, მშვენიერი ფლოტი და აუარებელი ხმელეთის მხედრობა გაიჩინა, მაგრამ სამაგიეროდ ამ რამდენისამე ბოლო წლის განმობავლობაში სახელმწიფოს შემოსავლისა და ნივთიერად წარმატებისათვის-კი არა უზრუნიარ-რა. მხედრობასა და ფლოტზედ გაწეულ უზომო ხარჯისა გამო იაპონიის ფინანსიური მდგომარეობა საშინლად გაჭირვებულს მდგომარეობაშია. როგორც „Ostas. Lloyd“ იუწყება, მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი მარკიზი იტო იაპონიის დღევანდელს ეკონომიურს მდგომარეობას მეტად უნუგეშოდა თურმე სთვლის და კამბრუნების იმედი არა აქვს. ამ ყამად იაპონიის მთავრობას, სულ ცოტა, 60 მილიონი იენი სჭირდება, მაგრამ ვერც შინა და ვერ გარეთ ვერ უშოვნია სესხათ. ამ რამდენისამე ხნის წინად ამისა გამო იაპონიის დეპუტატთა პალატამ გარდასახადთა მოტანა განიზრახა და ამის შესახებ წარდგენილი ბროექტიც მიიღო, მაგრამ იაპონიის პერთა (კეთილშობილთა) პალატამ იგი უარ-ჰყო. მარკიზის იტოს აზრით, იაპონიის დღევანდელი ფინანსიური გაჭირვება იქამდის საგრძნობელი და დიდია, რომ საჭიროა ზოგიერთა საზოგადო სამუშაოები შეწყვეტილ იქმნეს, მაგრამ მთავრობას ეს ჯერ გაუბედნია, რადგანაც შეიძლება დიდი უკმაოფილება და არეულობაც მოჭყვეს ამას. ამისა გამო ადვილად შეუძლებელია, რომ იაპონიამ ამ ყამად ომი ვისმე გამოუცხადოს და საწინააღმდეგოდ ვინმე გამოიწვიოს, თუმცა ომის მომხრე დასები დიდს აგიტაციას ეწევიან და ადრენილები არიანო.

დამაკვირდი

სიყვარული ცვარია ცისა, რომელიც ღმერთებმა ჩაგვიწვეთეს ცხოვრების ფიალაში, რომ მით სიმწარე ცხოვრებისა დაგვიტკბონ.

* * *

სიყვარული დამთრობელი დვინოა, მეგობრობა გამაგრილებელი წყალი.

* * *

სიყვარული ტანჯვაა, უსიყვარულობა სიკვდილი.

—

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ

ამოკრებილი ამბები

როგორც ვუწყით, პრუსიაში ნემეცები ძალიან სდევნიან პოლონელებს. მთავარი გაზეთი გაკატისტებისა „Deutsche Ztg“-ი სწერს, რომ მარტო ნემეცთა გამაგრებითა და დასახლებით პრუსიას პოლონეთში საქმეს ბევრი არაფერი ეშველება; საჭიროა განსაკუთრებული საშუალებანი მივიღოთ, ძალა ვიხმაროთ ჩვენის იმპერიის დასაცველად პოლონელთა შემოსევისაგანაო. ამისათვის საჭიროა დღევანდელი პოზნანის საჰერცოგო დანაწილებულ იქმნას მახლობელ ოლქებს შორის; ქალაქ პოზნანს მხოლოდ მცირე ტერიტორიაღა უნდა შერჩეს, რომელიც სამხედრო გენერალ-გუბერნატორს დაექვემდებარება. შემდეგ, პოლონელი აფიცრები სამსახურიდგან განდევნილ უნდა იქმნენ; მთავარ-ეპისკოპოსის კათედრა გნეზნიდგან ზგორჟელიცში უნდა იქმნას გადატანილი; სახელმწიფო სამსახურში შესვლა სრულიად უნდა აეკრძალოს პოლონელებს; ის სტუდენტები და გიმნაზისტები, რომელნიც პოლონურ მიმართულებას ადგიან, სასწავლებლებიდგან უნდა გაიდევნონ. წიგნებისა, გაზეთებისა, ბროშიურებისა და სხ. ბეჭდვა პოლონურს ენაზედ უნდა აღიკრძალოს, ეკკლესიასა და სკოლაში ნემეცური ენა უნდა გაბატონდესო. ასე სწერს პრუსიელ „პატრიოტთა“ გაზეთი.

* * *

ვულვიჩში შემდეგი საზარელი მკვლელობა მომხდარა. ერთ აფიცერს, რომელიც ამას წინად დაბრუნებულა სამხრეთ აფრიკიდგან, მოუკლავს რევოლვერით ოთხი თავისი ქალი და შვილი, ხოლო უფროსი ქალი, 13 წლის ბავშვი, სასიკვდილოდ დაუჭრია, ისიც უთუოდ მალე მოკვდება. ცოლი აფიცერს სახლიდგან სხვაგან გაუგზავნია. მიზეზი ამ მკვლელობისა არავინ იცის თურმე. მკვლელის მამა, ლორდი კეგენი, ლორდთა პალატის წევრია.

* * *

ალკოგოლიზმი ძველადაც ყოფილა გავრცელებული. ვინ წარმოიდგენდა, რომ ლოთობის წინააღმდეგი მებრძოლი ლიგები უძველეს დროსაც, მაგ., დიდ რაზმეს მეორის დროსაც არსებობდა. ერთ ფრანგულ სამკურნალო გაზეთში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ამის თაობაზედ. როგორც ამ წერილიდგანა სჩანს, ლოთობას ძალიან მისდევდნენ თურმე ეგვიპტეში იოსებისა და მოსეს დროს და ეგვიპტეს დაცემის ერთი უმთავრესი მიზეზიც სწორედ ეს ალკოგოლიზმი ყოფილა. ჟურნალის სიტყვით, ძველად ეგვიპტეში ისეთივე სასმელების დუქნები არსებობდა, როგორიც დღეს არსებობს. ეს დუქნები უმთავრესად ქალაქის ბნელ, ტალახიან და მივარდნილ ქუჩებში ყოფილა მოთავსებული. ჰყიდდნენ ამ დუქნებში „არპს“ (ღვინო), „გეკს“ (ლუდი) და „სკადონ“ (ბზის არაყს), ღვინოს ადგილობრივსაცა ჰყიდდნენ და სხვა ადგილებიდგან მოტანილსაც, როგორც, მაგალითად, სირიიდგან. ეგვიპტელები უფრო „გეკს“ რჩეობდნენ თურმე. ლუდს ყველანი სვამდნენ ფარაონიდგან დაწყებული უკანასკნელ მთხოვარამდე. მეფის კარისკაცთა შორის ერთ უმთავრესს თანამდებობად ითვლებოდა „სამეფო ლუდის სახდელთა გამგის“ თანამდებობა. ძველ საფლავის ქვებზედ ლოთობის სურათებიც-კია დახატული. დახატულია ზოგგან, მაგალითად, მაღალ საზოგადოების ქალთა კრებული, სადაც ქალებს ჭიქები უჭირავთ და მხიარულად ლუდს ან ღვინოს შეექცევიან. ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ძველ საბუთებიდგანა სჩანს, არსებობდა თურმე სხვა-და-სხვა ლიგა და საზოგადოება.

—

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 ივნისი.

კეტერბურგი. დღევანდელ საშუალო სკოლაში ცვლილების შესატანად ამორჩეულ კომისიის სხდომაზედ, რომელიც 31 მაისს მოხდა საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით, ძირეულ დებულებათა მე-4 მუხლი იქმნა გარჩეული. მხურვალე კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ წვრთა უმეტესობა მამულის შესწავლასა და სჯულის ცოდნას სრულებით თანაუგრძნობს; გარდა ამისა, კამათიდგან გამოირკვა აზრი და დანიშნულება ახალის ენებისა და ლათინურის ენისა მომავალს შეცვლილს სკოლაში. დანარჩენ წვრიმალების განხილვა შემდეგის სხდომისათვის გადიდვა, რომელიც ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თავმჯდომარეობით მოხდება; ამავე სხდომაზედ უნდა იქმნეს გაკვეთილების ცხრილი შედგენილი.

დაწვრილებითი ცნობები გუშინ გაჩენილი ცეცხლის შესახებ: ნაშუადღევის 5 საათზედ ცეცხლი ცოტათი მინელდა; გემების ქვის ჩასაცურებელი გემით „Орелъ“-ით გადარჩენილ იქმნა; „Паллада“-აც გადარჩა; გემი „Витязь“ ნახშირადა და ფერფლად იქცა. ფონტანკის მეორე მხარეს კალინის სასურსათო საწყობებში ამ დროს რამდენსამე წყობად სახაზინო შეშის მაღაზიები იწოდა. აქ გადმოცვიენილმა მოკიდებულმა მუგუზლებმა უცბად საშინლად გაანადგურა ყოველივე: ამავე დროს ცეცხლი მოედო რამდენსამე სხვა შენობასაც, სადაც სამხედრო უწყების პურები და სხვა მრავალი საგნები ელაგა. ამბობდნენ, ბევრნი დაშავდნენო და რამდენიმე ახალგაზდა მუშა უკვალოდ დაიკარგაო, მაგრამ ჯერ ეს არ დამტკიცებულა. ზარალიც ჯერ არ გამოუანგარიშებიათ, მაგრამ ეჭვი არ არის, საზღვაო და სამხედრო უწყებას დიდი და საგრძნობელი ზარალი მოუვიდათ: სახელმწიფოს რამდენისამე მილიონის ქონება დაეწვა.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დისკონტი $3^1/_2$-დგან $3^0/_0$ დასწია.

ბრუქსელი. 31 მაისს, უნიონთა მართლ-მადიდებელ ეკკლესიასთან შემოერთების დღე ყოვლად-სამღვდელო იოაკიმეს მიერ სამღვდელოებითურთ დიდებულად იქმნა ნადღესასწაულები.

პარიზი. ასოციაციათა კანონ-პროექტის შესახებ კამათი ხელ-ახლად დაწყებულ იქმნა სენატში. მაქსიმ ლელონტი მომხრეა პროექტისა, რომელიც ასოციაციის თავისუფლებას უზრუნველ-ჰყოფს. ადმირალი კიუვერვალი პროექტის შესახებ ჰკამათობს, რადგანაც იგი კონგრეგაციებს ყოველგვარს თავისუფლებას უსპობს და ოჯახების მამებს უფლებას უსპობს თავისი შვილები საკუთარის სურვილისამებრ აღზარდონ. მომხსენებელი ვალე პროექტს ემხრობა, რომლის შემდეგაც ვალდეკ-რუსსო აცხადებს, თუ

მთავრობამ რა მოსაზრებებით შეიტანა თავისი კანონ-პროექტი, მისის სიტყვით, სრულიად ლიბერალური. კეთილი მოქმედება ზოგიერთის კონგრეგაციისა სრულიადაც არ იქმნება დაბრკოლებული იმითი, რომ ნებართვის გამოთხოვნა დასჭირდებათ; სახელდობრ, ნებადართული კონგრეგაციები დიდს სამსახურს გაგვიწევენო. დასასრულ, შეჰნიშნა ვალდეკმა, რომ, თუ კანონ-პროექტს მიიღებს სენატი, ამითი იგი საყოველთაო დამშვიდებას ხელს შეუწყობს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. გამილტონი იუწყება, რომ, როგორც გეზლის მოხსენებიდგანა სჩანს, ტყუილია ის ამბავი, ვითომ ტიანძინში შეტაკება ხელმეორედ მოჰხდომოდეთო. კრანბორნი აცხადებს, რომ გერმანიის მთავრობისაგან არავითარი ცნობა არ მიუღიათ, ვითომ გერმანიის ჯარი შანხაიში რჩებოდეს. დანარჩენს კითხვებზედ პასუხის მიცემის შემდეგ კრანბორნმა განაცხადა, რომ, როგორც მთავრობას ეუწყა, მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო წარმომადგენლებს საჭიროდ უცვნიათ, პეკინში დატოვებულ საელჩოების მოდარაჯე ჯარებისა გარდა, ჩრდილო ჩინეთში 16,000 კაცი კიდევ სხვა იქმნეს დატოვებული, თუმცა დაწვრილებითი ცნობა იმის შესახებ არ მიუღია, თვითოეულმა სახელმწიფომ რამდენი კაცი უნდა დასტოვოსო. სამხრეთ-აფრიკის ომის შესახებ ბალფურმა განაცხადა, რომ ინგლისელებს ამ ჟამად ომი ბურების პატარ-პატარა რაზმებთანა აქვთ, რადგანაც უმეტეს ნაწილად პატარ-პატარა გუნდებათ დაიყენენ, რომლებშიაც ასორას კაცზედ მეტი არ არის და ამათი საერთო რაოდენობაც 17,000 კაცს არ აღემატება. რაც შეეხება სამშვიდობო მოლაპარაკებათ, ეს-კი სულ ტყუილია და განზრახ არის პოლიტიკოსების მიერ გამოგონილიო. უნდა მოველოდეთ, ომი ჯერ კიდევ დიდხანს გასტანსო.

შანხაი. გაზ. „Nord China Daily News“-ს ატყობინებენ ჩინეთიდგან, ვითომ ტინსა და დიხუნგჩანგს იმპერატორის ბრძანება მიედოთ, რომელშიაც იგი სახელმწიფოთა მოთხოვნილებაზედ ოანხმობას აცხადებს; ამისათვის, იმედია, ივნისის დამლევს სამშვიდობო ხელშეკრულობაზედ ხელიც მოაწერონო.

კანეია. მუსულმანთა დეპუტატებმა შეფის ძეს გიორგის გამოუცხადეს, რომ იგინი კანეის საბერძნეთან შეერთების წინააღმდეგნი არიან. იგივე განცხადება წარუდგინეს აგრეთვე მთავარს კონსულებს. კონსულებმა არ მიიღეს განცხადება არც მუსულმანთა დეპუტატებისა და არც ქრისტიანებისა.

პრაგა. ნაშუადღევს იმპერატორმა ფრანცმა იოსებმა ქალაქში გაისეირნა და ზოგიერთა დაწესებულებანი ინახულა. სტრაკოშის აკადემიის პრეზიდენტის სიტყვის საპასუხოდ იმპერატორმა ის განაცხადა, რომ იგი დარწმუნებულია აკადემიის მოწაფეთა შორის სრული ერთობა, ერთურთის ნდობა-შეწყნარება და მონარქიის ერთგულობა და მამულის სიყვარული იქმნება განვითარებული და განმტკიცებულიო. გზაზედ ყველგან ხალხი ადტაცებით ეგებებოდა იმპერატორსა. სალამოთი გოფსბურგში სადილი იყო გამართული, რომელსაც მინისტრები და უმაღლესნი მოხელენი დასწრნენ.

ლონდონი. „St. James Gazetts“ წინააღმდეგობას უწევს ყველა იმ გაზეთებს, რომლებიც სცდილობენ დაამტკიცონ, რომ გერმანიის ჯარის შანხაიში დატოვება ინგლისისათვის მავნებელი იქმნება. საერთაშორისო ჯარების შანხაიში დატოვება, სადაც მცხოვრებნი ერთმანერთს დაშორებულნი არიან, ისრე საშიში არის, როგორც ტიანძინში. ინგლისს ჩინეთში ვაჭრობის ინტერესები აქვს და არა ადგილის შეძენისა, ჩინეთის წყლებში ბრიტანიის ფლოტის გაძლიერება შანხაის საერთაშორისოდ დაჭერას გაათანაბრებდა მხოლოდ. გერმანიის მხრით 800 კაცის დატოვება ინგლისის ხელშეკრულობის უფლებებს ხელშეუხებელ ჰყოფს. იანტზეში მიმავალი წყლის გზა ინგლისს გახსნილი ექმნება. რამდენისამე სახელმწიფოს მიერ შანხაის დაჭერა, თუ რომ ამის შემდეგ ბეჩუოდიდგან ჯარები სრულიად იქმნება გამოუვანილი, ინგლისისათვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე საზარალო; მით უფრო, რომ ინგლისს არასოდეს არა ჰქონია სურვილი შანხაი მიესაკუთრებინა, ან იანტზეს ველის მფარველი გამხდარიყო.

ტულონი. ტასუერში მყოფი საფრანგეთის ელჩი რეგუალი და საგანგებო საელჩო მაროკოდგან უკვე მობრუნდნენ.

გავანნა. უუბისათვის კონსტიტუციის შესამუშავებლად მოწვეულმა კრებამ ბლატის წინადადება მიიღო, რომელიც ურჩევდა, რომ უუბასზედ კანტრადი *) ამერიკასა ჰქონოდა.

ამსტერდამი. ნიდერლანდიის ბანკმა დისკონტი $3^1/_2$-დგან 3% დასწია.

ბრიუსელი. ბელგიის ბანკმა დისკონტი $3^1/_2$-დგან 3% დასწია.

ბელგრადი. სარწმუნო წყაროებიდგან ამბავია მიღებული, რომ გაზეთების ცნობა სერბიის კაბინეთში ცვლილების მოხდენის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა.

პარიზი. ისის ტუვა-წამლის ქარხანაში, პარიზის მიდამოებში, ავადმყოფება მოხდა. იმ დროს, როდესაც ქარხნის მუშები საუზმეზედ წასვლას აპირებდნენ, ქარხნის ერთი შენობა უცბად ჰაერში აიტაცა. დაღუპულთა კადასარჩენად მაშინვე მუშაობას ხელი მიჰყვეს. ნანგრევებიდგან 15 მკვდარი და 18 დაჭრილი ამოიღეს. დაღუპულთა უმეტესობას დედაკაცები შეადგენენ.

რიგა. ბალტიის მხარის საიუბილეო სამრეწველო გამოფენა, რომლის მფარველადაც ფინანსთა მინისტრი ითვლება, 1-ლ ივნისს, დილით, იქმნა გახსნილი.

პრაგა. იმპერატორი ფრანც-იოსები ახალის ხიდის გახსნას დაესწრო. იმპერატორს მინისტრ-პრეზიდენტი და მინისტრები გარტელი და რეზელი ახლდნენ. ქალაქის მოურავის სიტყვის საპასუხოდ იმპერატორმა ეი რა სთქვა ნემეცურად და ჩეხურად: „მიხარის არა მხოლოდ ის, რომ ეს ახალი ხიდი გაა-

*) ზემოდ-მოყვანილმა დეპეშებმა დიდის ელვა-ქუხილისა გამო დაიგვიანა.

ძლიერებს მოძრაობას, არამედ ისიც, რომ ჩრაგის მშვენიერებათ ერთი ახალი მშვენიერება კიდევ სხვა ემატებაო. ხალხი დიდის ადტაცებით ეგებებოდა.

ოდესა. სასამართლომ სოფიო ვოლოდკოვიჩის მოკვლისათვის მადიშევს ოცვლისავე უფლების ჩამორთმევა და სამუდამოდ მადნებში მუშაობა გარდაუწყვიტა.

ჩისტოპოლი. კარგი მოსავლის მოლოდინი ბაზრის ფასებზედ ცუდად ჰმოქმედებს; წვიმებია.

უფა. ნამდვილად გამოირკვა, რომ სამარა-ზლატოუსტის რკინის გზაზედ მომხდარ უბედურობის დროს მომკვდარა 2 და დაჭრილა 46. დაჭრილთა ოჯახობას შემწეობა ადმოუჩინეს.

სარატოვი. სარატოვის მაზრაში იტალიური კალია გაჩნდა, რომლის გასწორებაც უკვე ღონისძიებაა მიღებული.

ტამბოვი. 25 წლის შემდეგ კვალად გახსნილ იქმნა საშუალოგო კურსები საერობო სკოლებში მასწავლებელთათვის. კურსების ზედამხედველად საერო სასწავლებლების ინსპექტორია, ხელმძღვანელებათ,—სხვათა შორის, მოსკოვის უნივერსიტეტის ორი პრივატ-დოცენტი. კურსებზედ დასასწრებლად 208 მასწავლებელი ქალი და კაცია გამოწვეული. ექსტერნებსა სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებლებიც მიუშვეს.

კიევი. უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდა უკვე დასრულდა. ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი შეასრულა 12-მა, ხოლო იურიდიული 233; ამათგან პირველის ხარისხის დიპლომი მხოლოდ 7 მიიღო, დანარჩენმა 226—მეორე ხარისხისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 5 ივნისს გამგეობისავე თანადასწრებით ნაშუადღევის პირველ საათზედ მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა წყლის სადენი ბეტონის მილის გამართვის საქმე ბაგრატიონის ქუჩიდგან ფომინისა და მესხიევის ქუჩებზედ აკოფოვის სახლამდე. სამუშაო სულ 1500 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ალმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(2—ნ.—1)

სემინარიაში

(VI კლ.) ამზადებს მოსწავლეებს სასულიერო და საერო სასწავლებლებისათვის.

კობის ქუჩა (წუნეთის ქუჩის მახლობლად), მე-2-ე შესახვევი, სახლი № 44.

(3—134—1)

მ ა ტ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

გადაყვიდა საკუთარ სახლში, ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

(10—ნ.—9)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა 1901 წ.

გამოფენა დაიწყობა ტფილისში 20 აგვისტოს და შემდეგი განყოფილებანი ექმნება:

1, მიწად-მოქმედება.
2, მევენახეობა და მეღვინეობა.
3, საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები.
4, დეკორატიული ბაღოსნობა.
5, ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა.
6, ტყის მოვლა-მოშენება.
7, შინაური საქონელი და ფრინველი.
8, მერძეობისა და საქონლის მოვლა-მოშენების ნაწარმოებნი.
9, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.
10, მეთევზეობა და მონადირეობა.
11, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები.
12, შინა და სახელოსნო მრეწველობა.
13, საქარხნო მრეწველობა.
14, სამთო მრეწველობა.
15, საპედაგოგიო-საპროფესიონალო განყოფილება.
16, სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება.
17, სამეცნიერო-სამოსწავლო განყოფილება.
18, სამხატვრო განყოფილება.

ბიურო გამოფენისა და კომისარიატის კანცელარია იმყოფება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბარიათინსკის ქუჩაზედ, და ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

პირის-პირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ კომისარიატის კანცელარიის ბინაზედ. (10—ნ.—10)

უბედურ შემთხვევების შემდეგ დაშავებულნი და დაზარალებულნი ძალიან ხშირად სწუხან, რომ თავისს დროზედ ასეთის შემთხვევისათვის საჭირო ღონისძიებანი არ მიიღეს.

ქონებრივის ზარალისა და ყოველ-გვარის უბედურების თავიდგან ასაცილებლად, ვურჩევთ უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევას დამზღვევ საზოგადოებას „როსსიაში“. ყოველ-წლიურის შესატანით 20-დგან 50 მანეთამდე, ხელობისა და საქმის მიხედვით, შეიძლება დაზღვევა 10,000 მანეთისა იმ შემთხვევისათვის, თუ მოკვდა, და 10,000 მანეთისა,—თუ დაშავდა.

დაზღვევა შეიძლება 1,000 მ.-დგან 200,000 მანეთამდე.

1900 წელს დამზღვევემა საზოგადოებამ იმ დაზღვეულთა დასაჯილდოებლად, რომელთაც უბედურება შეემთხვათ, გასცა 1,200,000 მანეთი.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება გამგეობაში (ჰეტერბურგი, დიდი მორსკაია, № 37), საზოგადოების განყოფილებაში ქ. ტფილისს (სერგიევის ქუჩა, № 6) და აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქებში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Юня 1901 г. სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე